

შეფასების წესი და სერტიფიკატის დონეები

პროფესიული გადამზადების (სერტიფიცირების) კურსი

ა) დასწრება - მსმენელი, ვალდებულია დაესწროს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საათს.

სასწავლო დროის 2%-ის და მეტის არასაპატიოდ გაცდენის შემთხვევაში მსმენელი გაირიცხება სასწავლო კურსიდან.

სასწავლო დროის 15%-ის და მეტის საპატიოდ გაცდენა ასევე ხდება მსმენელის სასწავლო კურსიდან გაირიცხვის საფუძველი.

მსმენელი ვალდებულია, სასწავლო საათების გაცდენის შესახებ აცნობოს სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციას.

მსმენელი წერილობით მიმართავს (პატაკი/მოხსენებითი ბარათი/ახსნა-განმარტება) სასწავლო ცენტრის დირექტორს, ასაბუთებს გაცდენის მიზეზს, გარემოებების გათვალისწინებით წარადგენს შესაბამის მტკიცებულებას. მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია მსმენელი.

არგამოცხადების შემთხვევას/შემთხვევებს განიხილავს სასწავლო ცენტრის დირექტორი.

ბ) შემაჯამებელი გამოცდა - 100 ქულა

ტარდება ტესტირების ფორმით (ელექტრონული ტესტირების პროგრამა).

საგამოცდო ტესტი განისაზღვრება 100 კითხვით. ერთ კითხვაზე სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით.

გამოცდის ხანგრძლივობა არ აღემატება 3 საათს.

შემაჯამებელ გამოცდაზე დაიშვება ყველა ის მსმენელი, რომელიც დააკმაყოფილებს „ა“ პუნქტის მოთხოვნებს.

შემაჯამებელი გამოცდა ჩაბარებულად ჩათვლება მსმენელს, რომელიც
დააგროვებს

მაქსიმალური 100 ქულიდან  მინიმუმ 51 ქულას.

სასწავლო ცენტრში დადგენილი შეფასების ოთხი დონე.
მოსწრების შესაბამისად მსმენელს ეძლევა სხვადასხვა დონის სერტიფიკატი:

I ხარისხი - 91-100 ქულა

II ხარისხი - 81-90 ქულა

III ხარისხი - 71-80 ქულა

IV ხარისხი - 51-70 ქულა

მსმენელი, რომელიც არ გამოცხადდება გამოცდაზე, ავტომატურად ღებულობს შეფასებას „0“
ქულის ოდენობით.

გამოცდის შედეგის გაუმჯობესების მიზნით, მსმენელს აქვს გამოცდის ერთჯერადად
გადაბარების უფლება გამოცდის ჩატარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

გისურვებთ წარმატებებს !

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 4 დეკემბრის ბრძანება №168 - ვებგვერდი, 08.12.2015 წ.